

நினைவோ



m-1345

௩5

1934

ორნატი



მ-1345

საკოლტიკო კრებული

მეხუთე

Ornati

Recueil politique géorgien

საქტემაზა — ოქტომბერი

პარიზი

1934 წ.



ერთა ლიგა და ჩვენი საკითხი

ევროპის ძალთა დაპირისპირება ომამდე არსებულ წონასწორობისაკენ მიდის. ახალი რუსეთი თავის ძველ მოკავშირეებს დაუბრუნდა. ეს დაბრუნება განმტკიცდა რუსეთის ერთა ლიგაში შესვლით... ამ გარემოებამ სრულიად გაანადგურა ლიგის ისედაც შერყეული ავტორიტეტი. დამარცხებული და დაპყრობილი ერები თუ დღემდე ერთა ლიგაში ხელაქმნენ სამართლიანობისა, საერთაშორისო ზავისა და მშვიდობიანობის მიუღდომელ მსაჯულს, — დღეს ეს იმედი საბოლოოდ გატყდა, განიავდა, გააცამტვერა.

რუსეთის მიღებით ერთა ლიგამ დაარღვია თავისი არსებობის მთავარი საფუძველი. ეს საფუძველი იყო ერთაშორისო უფლების და თავისუფლების აღიარება უმაღლეს ცნებებად. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დაცვა და მისი პირნათლად ასრულება. სახელმწიფოს, რომელიც არა სდგას ამ ნიადაგზე და არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას შეზობელი თუ სხვა ერის მიმართ, ადგილი ლიგაში არ უნდა ჰქონდეს. რადგან ლიგა ამ საფუძველზე იქმნა აგებული. სხვანაირად მის არსებობას ეკარგება ის დიდი აზრი და მნიშვნელობა, რომელიც მეოცე საუკუნის საერთო განათლებამ ამ დაწესებულებასთან განუკვეთელად შეაკავშირა.

ნუ თუ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებებს მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და მნიშვნელობა, როცა იგი მხრჩოლავი გაზებით და ზარბაზნის ყუმბარებით არის ზურგ - გამაგრებული? ან მაშინ, როცა მისი დაცვა ამა თუ იმ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს შეიცავს?! სად არის სამართალი! სად არის მიუღდომელი განსჯა! სად არის ერთაშორისო უფლების მაღალი აზრი და მისი უანგარო საბუთები? სად? — ვეკითხებით ქართველები თავისუფალ და კეთილმდგომარეობაში მყოფ ერების თავ-კაცებს! ნუ თუ ჩვენი დანაშაული იმაშია, ჩვენს ხელშეკრულებას იმიტომ არა აქვს ძალა, რომ ას-მილიონიან რუსეთმა ოკუპაცია მოგვიხდინა? რუსეთს ჰქონდა თუ არა საქართველოსთან ხელშეკრულება დადებული? — ჰქონდა. დაარღვია თუ არა



იგი? — დაარღვია! დაგვეცა თუ არა თავზე ომის გამოუცხადებლივ? — დაგვეცა... და განა ამაზე მეტი საბუთი შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ დღევანდელი რუსეთი, ფლიდი და უპირო სახელმწიფო არის? დღეს ხომ იგივე მთავრობა ზის მოსკოვში, რომელმაც ჩვენ 1921 წ. წითელი ჯარები შემოგვისია? და როცა ლიგაში მოდის ასეთი სახელმწიფო, რატომ მას უპირობოდ ღებულობენ? ეს ცოტაა! რუსეთის მიღება მოხდა რაღაც უცნაური აღლუმით. მართალია თეატრალობა და ყალბი პათოსი არ აკლდა ამ აღლუმს, მაგრამ მაინც ხომ არაჩვეულებრივად შემზადდა იგი...

რანაირად უნდა გვქონდეს ჩვენ ამის შემდეგ ლიგის ნდობა და პატივისცემა? თუ ჩვენ ნდობას და პატივისცემას დიდი ღირებულება არა აქვს, რადგან ჩვენ პატარა და ამევე დროს უცხო უღელში მყოფი ვართ? — ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ ეს ასეა... მაგრამ რატომ ამას ზავისა და სამარლიანობის ორპირი მოქადაგენი გარკვევით სარამბობენ? არ ამბობენ, მაგრამ აკეთებენ. უბედურება სწორედ აქა...

ლიგა არა-კეთილსინდისიერად მოეპყრო საქართველოს, რადგან რუსეთის მიღებასთან საქართველოს საკითხი მჭიდროდ იყო შეკავშირებული. რუსეთი ისე დააბრძანეს ვენევის სავარძელში, თითქო საქართველო სრულიად არც არსებობდეს მსოფლიო რუქაზე. — ეს უდიდესი გაკვეთილია ჩვენთვის, მაგრამ არა ნაკლები ყველა იმ პატარა ერისათვის, რომელსაც საჭირო ტყვია - წამალი მომარაგებული არა აქვს და ცალი თვალთ ლიგაში იყურება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ რუსეთის მიღება მოხდა განსაკუთრებული ანგარიშით. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ანგარიში ძირშივე ყალბია. დღევანდელი რუსეთის მმართველების სიტყვას, თამასუქს, ხელშეკრულებას არავითარი ფასი არა აქვს, ვინაიდან იგი მის ყოველთვის დაარღვევს, როცა ამის შესაძლებლობა ოდნავ ექნება.

ვნახოთ, რას მოიგებს ევროპა ამ ბენძლი საქონელის ზურგზე აკიდებით. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია: — რუსეთი ეცდება ლიგა გამოიყენოს; ლიგის დღევანდელი პატრონები კი, პირიქით, — რუსეთი გამოიყენონ. წინასწარ ძნელია თქმა, რა გამოვა ამ არა-კეთილსინდისიერი თამაშიდან.

ერთა ლიგის ფლიდი ერთფეროვნება პატარა ლევეციის კეთილშობილმა ერმა და პორტუგალიამ დაარღვია... ბ-ნი დე მატას და განსაკუთრებით ბ-ნი მოტას სიტყვა, სიტყვა დიდი შთაგონებით თქმული, იყო არა მარტო გულწრფელი გაფრთხილება ევროპის დღევანდელი პატრონების მიმართ, არამედ მთელი მათი საქმიანობის მიუღდომელი



და პირუთენელი განაჩენი. იმიტომ რომ ამ სახელმწიფოთა პოლიტიკა საგარეო კომბინაციებთან არაა შეკავშირებული.

საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს კეთილშობილ და გაბედულ შვეიცარიის წარმომადგენელს ბატონ მოტას, რომელიც სწორედ მაშინ ქამოგვესარჩლა, როცა ევროპის სახელმწიფოები დიდ რუსეთს თავის ძველ ღირსებაში აღდგენდნ და პატარა საქარველოს კი ამ ღირსებას უმარხავდენ.

ჟენევის ამა წლის სექტემბრის სხდომებმა ბევრი რამ ხელსახებად ნათელი გახადა, ბევრი ილუზია დაამსხვრია. ქართველმა ხალხმა დღეს აშქარად დაინახა ერთი რამ: — თავისუფლებისათვის ბრძოლაში იგი საკუთარ ძალას უნდა დაეყრდნოს და თავისი იმედი იქონიოს.

გაბედავს აწი ვინმე ქართველი ხალხი ცრუ იმედებით და საერთაშორისო დემოკრატიის თანაგრძნობით კვებოს?!

პაქტის შესახებ

კავკასიის ერების ცხოვრების ისტორიული სინამდვილე გეასწავლის ერთ ჭეშმარიტებას: — კავკასია, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და უჭირავს, მუდამ იყო გარეშე ძალთა მიშხიდველი და დაპყრობის საგანი.

ძლიერების ხანაში, საქართველოს კავკასია ხელთ ეპყრა და სისუსტის დროს, ის სცილილობდა კავკასიელ მეზობლებთან კავშირი და ნეგობრული დამოკიდებულება დაეჭირა. ეს არის საერთოდ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ისტორიის დედა-ძარღვი. — ქართველი მეფეების პოლიტიკა ამ მიზნით განისაზღვრებოდა, მაგრამ გარეშე და შინაური პირობების მეოხებით, ამ მიზანს ხშირად ვერ აღწევდნ და, როგორც კავკასია, ისე საქართველო, მტრის სათარეშო ასპარეზად ხდებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავითისა და თამარის, და ნაწილობრივ ერეკლეს ხანას, კავკასიის გაერთიანება მოხდა ბოლოს რუსეთის დამპყრობი პოლიტიკის შედეგად. რალა თქმა უნდა, კავკასიის ეროვნულად მოაზროვნე პირებს, რომელთაც თავისი ერის თავისუფლება ამოძრავებდათ, არ შეეძლოთ ქვეყნის თავისუფლებაზე და ძისი ერების ერთობაზე არ ეფიქრათ.

გიორგი წერეთელი უკვე სამოცდაათიან წლებში ქადაგებდა ამიერ-



კავკასიის ფედერაციის შესახებ. და 1873 წ. ჟენევაში გამოცემულ ხელნაწერი ჟურნალი „დროშა“ არდგენდა კავკასიელ ხალხების თავისუფალი ფედერაციის პრინციპს; სომეხი იზმაილოვი შემდეგნაირად უდგებოდა ამ საკითხს: —

„წარმოვიდგინოთ ახლა შემდეგი, იქნება შეუძლებელი გარემოება, წარმოვიდგინოთ, რომ რუსული ელემენტი, რომელიც ორნაირად გვეერთებს ჩვენ (ჯერ ერთი კანონების და მმართველობის და მეორე იმ სიძულვილით, რომელსაც ის ჩვენ ყველაში სახავს), წარმოვიდგინოთ-მეთქი, რომ ის ელემენტი უეტრად გაქრა კავკასიაში და დაერჩით თავისუფალი. ამ ელემენტის გაქრობასთან ერთად ქრება ყველაფერი, რაც კერძო ხალხებს აერთებდა, და ეს ხალხები ხელახლავ ერთმანეთის წინააღმდეგ რჩებიან; რა ძნელი იქნება მაშინ ამ გაუწყობელ ხალხების შეერთება. ამისთანა გარემოების მხედველობით ჩვენ ახალგაზრდობა მოვალეობად ვთვლით ადამიანთა მდგომარეობის დაშლადებს ეცადონ, რომელშიაც ყველაზე უფრო ნაკლებ ისახებოდეს ეს ნაციონალური წინააღმდეგობა“... („დროშა“ № 3. 1873 წ.)

1874 წ. კი ჟენევაში ქართველ ინტელიგენტთა კონგრესმა მიიღო დებულება ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ და შემდეგაც მთელი ათეული წლების განმავლობაში კავკასიის საკითხი ეროვნულ პრესაში ისმოდა. ასე რომ საკითხი კავკასიის თავისუფლებისა და მისი ერების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მუდამ ძველია და მუდამ ახალიც.

კავკასიას დაუდგა ბენდიერი ყამი, როდესაც იგი მოესწრო ამ თავისუფლებას. ეს იყო დიდი ომის შედეგად, მაგრამ მისი ხელმძღვანელობის ბეცი პოლიტიკის წყალობით კავკასიის ერებმა დაჰკარგეს ეს ძვირფასი ისტორიული შემთხვევა.

და დღეს, ემიგრაციაში გახიზნული იგივე ხელმძღვანელობა, ცამეტი წლის შემდეგ, აქვეყნებს 1934 წ. 14 ივლისს ბრიუსელში დადებულ კავკასიის კონფედერაციის პაქტს. — ჩვენ ამ პაქტს ამ ეხმად არ გარჩევთ იურიდიული თვალსაზრისით, — გვსურს მხოლოდ ზოგი მოსაზრება გამოვთქვათ პოლიტიკური მიდგომით. —

დადებულ პაქტს აქვს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა; იგი შეიძლება გამოყენებულ იქმნეს როგორც ქადაგების საგანი და სხვა არავითარ პრაქტიკულ-პოლიტიკურ გამართლებას ვერ ითმენს, თუ, რასაკვირველია, ეს პაქტი დადებული არ არის რაიმე სხვა მოსაზრებით.

თეორიულად საკითხი პრინციპიალურად სდგას: — რატომ კონფედერაცია და არა ფედერაცია? რატომ ფედერაცია და არა ერთი ხელისუფლების ქვეშ მყოფი კავკასია?

რომ კავკასია უნდა იყოს ერთი და მთლიანი, ამაში ეჭვი არ შეგვ-

დის, მაგრამ გამოქვეყნებულ პაკტში და მის მიმყოლ მოწოდებაში კონფედერაციის უპირატესობის დასაბუთება არა სჩანს.

თქმა იმისა, რომ ამ „ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობა“ ვითომ კავკასიის კონფედერაციას გვიკარნახებდეს, ბევრს არაფერს ნიშნავს. ამავე დებულებით შესაძლებელია დავასაბუთოთ აგრეთვე კავკასიის ფედერაციის ან და ერთი ხელისუფლების ქვეშ მყოფი კავკასიის სახელმწიფოს შექმნის საჭიროება. (რასაკვირველია, თანამედროვე პირობებში საქართველოს და დანარჩენი ერების ურთიერთადამოკიდებულება სულ სხვაგვარ პოლიტიკურ სახეობაში უნდა ჩამოიხსას).

კავკასიის დამოუკიდებელი კომიტეტის მოწოდება კიდევ ერთ მეტად უცნაურ ალაგს შეიცავს: — ეს კომიტეტი მოუწოდებს „მოქალაქეებს“ — დაირაზმონ და შეერთდნენ: — „შეისწავლეთ იგი (პაკტა შ. მ.) და განიხილეთ დაწვრილებით ყველა პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაში, განურჩევლად პარტიისა და პროგრამისა, და მოგვაწოდეთ თქვენი ერთსულოვანი თანხმობა“-ო.

საკვირველია, რომ წინდაწინვე ერთსულოვან თანხმობას გვთხოვენ ახლად გამოქვეყნებულ პაკტის გამო და იმას კი არ ფიქრობდენ, ექნათ თავის დროზე ის, რასაც მომავალისათვის აპირებენ, ესე იგი, სანამ მას ხელს მოაწერდენ, მოეწვივათ კავკასიელთა კონფრენცია, როგორც კავკასიის ცხოვრების მოწესრიგების სახეს გამონახავდა.

ამ პაკტს აქვს დიდი ნაკლი. მას ხელს აწერენ აზერბეიჯანის, ჩრდილოკავკასიის და საქართველოს წარმომადგენლები, ხოლო სომხები არა სჩანან; არც არის ცნობა იმისა, თუ სომხებმა რატომ სთქვეს უარი ამ პაკტში მონაწილეობის მიღებაზე.

ის მოვლენა, რომ პაკტს, რომელიც ამგვარი სახით მისაღებიც რომ იყოს, ხელს არ აწერს სომხების წარმომადგენელი, ამ საბუთს უკარგავს არსებით მნიშვნელობას. — მართალია, ესლა პაკტების წერის სენია გავრცელებული; და შესაძლოა ამანაც თავისი გავლენა იქონია, მაგრამ სხვების მიერ დადებულ პაკტებს თან ახლავს ძალა და საშუალება, ხოლო ბრიუსელში ხელმოწერილს კი არც ერთი არ აბადია.

შ. მალაკელიძე

საქართველოს საკითხი

(პასუხი მეგობარს)

ძვირფასო მეგობარო! შენი წერილი გონების გამახვილებული ხედვითა არის დაწერილი. თუმცა ქარბი სულიერი მღელვარებაც არ აკლია მას. აქ ყოველი წინადადება განსაკუთრებული და ცხოველი ყურადღების ღირსია. იგი საკმაო გარკვეულობით ახასიათებს საქართველოს დღევანდელ გუნებ-განწყობილებას.

მთელი შენი არსება უცნაურად აღელვებულია იმით, რომ ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელი საქმე ასე მაგრად დაილურსმა ერთ ადგილას; რომ ყველა სანთელი თითქო ჩამქრალა წინ და მხოლოდ იმედი, უხილავი და შეუცნობელი იმედი დარჩა ქართველი ხალხის განუზორებელი და ერთგული მეგობარი ამ დიდ ეროვნულ უბედურებასა და ვასაქირში.

შენ ვაკვირვებს ევროპის პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები საბჭოების სასარგებლოდ.

„ნუ თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი სინიღისი მშვიდად შეხედება რუსეთის შესვლას ერთა ლიგაში? ერთა ლიგა, ეს მაღალი იდეალების, სამართლიანობის და ზავის დაწესებულება, როგორ გადასდგამს ასეთ ნაბიჯს... ამით ის ხომ დაადასტურებს და კანონიერად აღიარებს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტს?“ — საკითხი სწორად არის დასმული, რომ სინიღისი არ ჩაგერია შიგ. დიდი ახირებული რამ არის ეგ საერთაშორისო საზოგადოებრივი სინიღისი. დამიჯერე, იგი უსინიღისობა უფროა ხშირად, ვინემ სინიღისიერება. იგი იმგვარ რყევასა და ცვალებადობაშია მუდამ, როგორც ბირჟაზე კრიზისის დროს ფასიანი ქაღალდები. ...

როგორც წარსულ საუკუნეთა ისე დღევანდელი ერთაშორისო პოლიტიკის საფუძველი იყო და არის მხოლოდ ცივი ანგარიში. ეს ცივი ანგარიში მუდამ ძალთა დაპირისპირების თუ დამოკიდებულებათა შე-

ფარდებს ეყრდნობოდა და ეყრდნობა. ჯერ კიდევ (და ალბად დიდ ხანს) ძალა, ძლიერება და ძალმომრეობა განსაზღვრავენ როგორც ერთაშორისო ხელშეკრულებათა ვალდებულებებს, ისე სამართლიანობის მაღალ პრინციპებს. ამიტომ ნუ გიკვირს რუსეთის მიღება ლიგაში...

რატომ ეპატიებოდნენ რუსეთს ასე დაჟინებით ენევაში? და რუსეთი რატომ ასე თავგამოდებით ცდილობდა ლიგაში შესვლას? — ამ ორი წლის უკან რუსეთს ენევის დაწესებულება სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა და მთელი ევროპის „დამპალ“ ცივილიზაციას ზევიდან აფურთხებდა. საკვირველია რუსეთის ასე შებრუნება, მაგრამ ამ შებრუნებას საკმაო დიდი მიზეზები აქვს...

ომის შემდეგ რუსეთი დამარცხებულ გერმანიას დაუმეგობრდა. ამ დაუმეგობრებით ფრიად მოიგო მან. მისი სამხედრო ძლიერება გერმანელების გამოცდილი და მაღალი ტექნიკის კულტურული ხელით შეიქმნა (ავიაცია განსაკუთრებით). ამ ორი წლის წინ გერმანიაში მომხდარმა დიდმა შინაგანმა ცვლილებებმა ძირიანად შეაბრუნა მისი საგარეო პოლიტიკა: გერმანია დასცილდა რუსეთს. კიდევ მეტი. იგი ერთგვარად დაუბირისპირდა მას. გერმანიამ სრულიად ახალი მოთხოვნა დააყენა: უფლებრივი თანასწორობა; ეს გულისხმობს შეიარაღების გადიდებას იმ დონემდე როგორც ეს მეზობლებს აქვს. მეზობლები და ერთა ლიგა ამაზე არ დასთანხმდნენ. გერმანიამ დასტოვა ლიგა. აქედან იწყება ერთა ლიგის კრიზისი ერთი მხრივ. მეორეს მხრივ მიექმამოთქმა ომზე. ამაზე წინ იაპონიამ დასტოვა ლიგა. ამ ორმა გარემოებამ მეტად დაამძიმა დღევანდელი ევროპის განწყობილება. დღეს ომი ევროპაში გულწრფელად არავის უნდა (მით უმეტეს გამარჯვებულ მხარეს), მაგრამ ჰაერი საკმაოდ დაწმენდილი არაა. გერმანიის ახალმა მოთხოვნამ და შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის შეუჩერებელმა ექსპანსიამ შეარყია ომის შემდეგ დამყარებული წონასწორობა. იაპონიის ექსპანსიამ შორეულ აღმოსავლეთიდან რუსეთი საგონობელში ჩააგდო (ევროპა და განსაკუთრებით ამერიკაც არაა მშვიდათ ამ გარემოებით). ამავე დროს მას ევროპაში არც ერთი მოკავშირე არ დაურჩა. რუსეთი დამფრთხალი ამ გარემოებით „დამპალ ევროპას“ ეფიცება დღეს სიყვარულსა და ერთგულებაში.

მეორე მხრივ, გერმანელების ჭაბედულმა და უჩვეულო ნაბიჯმა (გერმანელებმა არა მარტო სიტყვიერი მოთხოვნა დააყენეს, არამედ ფაქტიურად უკვე შეუდგნენ შეიარაღებას) დააფქრა ფრანგები... მათ სასწრაფოდ დაიკავეს ის თავისუფალი ადგილი (რუსეთი), რომელიც გერმანელებმა დასცალეს. რუსეთთან დამეგობრებით საფრანგეთი სცდილობს არა მარტო წონასწორობის შექმნას ევროპის პოლიტიკურ ვითარებაში, არამედ შთამაგონებელი გავლენაც შეიქმნას. სა-

ფრანგეთის ინტერესები ოდნავ არ ეპირსპირება რუსეთს არც კოლონიის, არც გავლენის სფეროთა საკითხებში. საფრანგეთს რაში ენალღებება ყოველდღიურად რამდენ ადამიანს გაუსამართლებლად ჩამოჰკიდებენ საბჭოთა კავშირში, რამდენი პატარა და დიდი ერი ჰყავს მას მახვილით დამონებული, როგორ უსინიდიწოდ დაარღვია მან საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და როგორ ლაჩრულად დაგვეცა თავს... სანამ რუსეთი ფრანგების საწინააღმდეგო ბლოკში იყო, სანამ იგი ვერსალის ზავს გლახა ძალღივით შორიდან უშნოდ უყვდოდა, არც ფრანგები ელოლიავენოდენ რუსეთს, მაგრამ, როგორც ხედავ, დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ამის მიხედვით როლღებიც... — სამი სახელმწიფო (საფრანგეთი, იტალია, ინგლისი) თაობდა, რომ რუსეთი ერთა ლიგის საგარძელში პატიოსნად დაესვათ. ამას ეძახიან დღეს ევროპაში და განსაკუთრებით ფრანგულ მემარცხენე პრესაში ზავის პოლიტიკას, მაგრამ ძახილი ერთია და საქმის ნამდვილი ვითარება მეორე. რას იზამს ხვალ საფრანგეთი და ერთა ლიგა იაპონელებმა რომ დაჰკრან რუსეთს? ასეთი შესაძლებლობა შორეულ აღმოსავლეთში გამორიცხული არაა. მაშინ ზომ ვალდებულია საფრანგეთი და ერთა ლიგა რუსეთს მხარში ამოუდგენ? და ეს ნიშნავს თუ არა შორეულ აღმოსავლეთის ამბების მსოფლიო გართულებად გადაქცევას? — ნიშნავს. და ნუ თუ ეს არის ზავის პოლიტიკა? რუსეთის გულისათვის რატომ უნდა დაუპირდაპირდეს დასავლეთი ევრე მწვავევდ აღმოსავლეთს... რა ანგარიშია ეს და ვისი ინტერესები ითხოვს ამას? მთელ ამ დიდი მუშაობიდან ყველაფერი შეიძლება გამოვიდეს, მხოლოდ ზავი და მშვიდობიანობა კი არა.

ჩენი საკითხი თავიდანვე არ იღვა ევროპის პოლიტიკის დღის წესრიგში, ეს გასაგებია. ევროპის არც ერთ დიდ სახელმწიფოს საქართველოს და კავკასიონში მნიშვნელოვანი ინტერესები არა აქვს...

ჩენი საკითხი აქ თუ იღვა და დღესაც სდგას, ეს მხოლოდ მორალურ და არა პოლიტიკურ სფეროში. მორალი და პოლიტიკური ანგარიში კი ერთმანეთს იშვიათად ხედება.

უცხოეთში გადმობიზნული საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის პრესა ძალზე აჰარბებდა, როცა საქართველოს ბელგის მდგომარეობას ადარებდა. ასეთი შედარება შეუძლია მოახდინოს მხოლოდ პოეტმა და არა პოლიტიკოსმა. ბელგის ტრადელია სხვა პირობებში დატრიალდა. იქ ინსკვევობდა მსოფლიო ომში ორ დაპირდაპირებულ ძალთა სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბელგის დამოუკიდებლობა აღადგინა გამარჯვებულმა მხარემ და მუზობლებმა. ჩვენ არც ასეთი გამარჯვებული მხარე გვეყავს და არც

ამ გვარი მეზობლები. ასეთ პირობებში სამართლიანობის დაცვისათვის ცივი ანგარიში მსხვერპლს არ იღებს.

ვინ იტყვის, რომ ქართველი ხალხის მოთხოვნილება კანონიერი და სამართლიანი არაა. ვინ იტყვის, რომ ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის უწმინდესი და უკეთილშობილესი ზრახვა არაა. — არაეინ! გარდა მოსკოვის ჯაშუშებისა. მაგრამ მარტო ამის ქეშმარიტებად აღიარება არა კმარა. ჩვენ როცა მსოფლიოს შევქვეყნებდით თავზე გვაწევს და გვახრჩობს, საქიროა დასმარება და დახმარება ნაღდი. ეს კი არსად სჩანს. ჩვენი საუკეთესო ევროპელი მეგობრები თანაგრძნობასა და სამძიმარს გვიცხადებენ, როცა საქართველოს საკითხი მაგათ დიდ საქმეებში მათდა უნებურად ხანდახან გაეხილება. მას მშვიდათ და გულცივად გადმოიღებენ და გვერდზე დადებენ. ჩვენს ზედში მყოფმა ხალხმა რა თავში ვიხალოთ ეგ ცარიელი თანაგრძნობა და სამძიმარი... თუმცა ეს არც ისეთი რამ არის, ჩვენ გულდასმით არ მოვისმინოთ და მოქმელს მადლობა არ გადაუხადოთ.

სამწუხაროდ ევროპაში საქართველოს საკითხის ფაქტიური მდგომარეობა ასეთი იყო და დღესაც ასეთია. ეს გარემოება გარკვევით და ნათლად უნდა იქმნეს მიღებული მხედველობაში. უბედურებაში და გასაკიროში მყოფმა ერმა სინამდვილეს მუდამ თვალეებში უნდა უყუროს და არას შემთხვევაში უიმედო იმედი ანგარიშში არ უნდა მიიღოს...

მართალია ერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას აქვს მნიშვნელობა ჩვენი საკითხის გადაჭრაზე. ამ პოლიტიკას დღეს დიდი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები აძლევენ მიმართულებას. ამ ინტერესების დაჯგუფება უმთავრესად ხდება ორ (ხან უფრო მეტ) ხაზზე. ქართული საკითხი მანამ არ დადგება ამ ასპარეზზე, მანამ არ ელირსება მას ამ ნიადაგზე სამართლიანი გადაჭრა, სანამ არ გაიმარჯვებს ინტერესთა ის წყობა, რომელიც ეპირისპირება იმ ხაზს, რომელშიაც რუსეთი არის მოქცეული. მაგრამ ამ მხრივ უდიდესი სიფრთხილე და ზუსტად ანგარიშია საჭირო.

ი. მანჯაკვა

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ

წერილი მეორე

პირველ წერილში მკითხველს შეეპირდით სამეგრელოს უკანასკნელი ხანის ისტორიაზე შეეჩერებულყავით და ეხლა ვეცდებით, შეძლებისა-დაგვარად, რამოდენადაც მასალები ამის საშუალებას გვაძლევს, სამეგრელოს წარსულის მთავარი და გადამწყვეტი ამბები დავახასიათოთ.

მე-15 საუკუნედან დასავლეთ საქართველოსი, და კერძოდ კი სამეგრელო-გურიის ისტორია საშინელი ამბებითაა აღსავსე.

ბიზანტიის იმპერიის საბოლოო დამხობის შემდეგ, როცა კონსტანტინეპოლის ბჭე დაირღვა და მთავარსარდალის ცხენი წშიდა სოფიოს ტაძარში შეიჭრა (1453 წ.), იმერეთი დასავლეთს მოსწყდა — და ოსმალებმა კავკასიაზე მუდმივი მოწოლით, დროთა განმავლობაში, აქ ფეხი მოიკიდეს, და სამცხე-სააბაგოს, ახალციხის საფაშოდ ქვეყანათან ერთად, ბათუმი და ფოთი თავის სტრატეგიულ საბრძანებელ წერტილად გაიხადეს და იმერეთს საშინელი ისტორია დაუტრიალეს. თითქმის მუდმივი ომში, განუწყვეტელი თავდასხმა, დარბევა-იავარქმნა, ხალხის გაჟლეტა და მოტაცება, — და თან აუტანელი ხარაჯა, ხარკი, რომელიც იმერეთს, გურიას და სამეგრელოს უნდა ეძლიათ, — ყველაფერმა ამან ქვეყანა განსაცდელში ჩაგდო და სიკვდილის პირას მიყენა. ამ შეუჩერებელ რბევა-აწიოკებასთან ერთად, ამ ქვეყნებს დაკისრებულა ჰქონდათ გადასახადის საზით ვაჟებისა და ასულების განსაზღვრული რიცხვი. ვაჟები მიჰყავდათ ოსმალურ იანიჩართა ჯარში და ვინაიდან ამ ჯარს განსაკუთრებით უტხო, მცირეწლოვან ვაჟებისგან ადგენდნენ, (რომ დაჰასაკების შემდეგ იგი სულთანის ერთგული ყოფილიყო), ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ამ ბავშვებს ან ომიანობის დროს ტყვეთა სახით იძენდა ან ყიდულობდა. — რბევა-აწიოკებამ მთელი დასავლეთი საქართველო შიმშილში ჩააგდო და ტყვეების გაყიდვით, ადამიანის საექსპორტო საქონლად გადაქცევით, თავს ირჩენდნენ. ადამიანის გაყიდვას მიმართავდა ყველა: ერის კაცი და სასულიეროც, და ამ მოვლენამ ისეთი

ფართო ხასიათი მიიღო, რომ დაეით-გარეჯის უდაბნოდან განსაკუთრებული დავალებით მივლინებულ იქმნა ბერი ბესარიონი, რომელმაც გურიის მთავარს სვიმონს (1605-15 წ.) ფიცი ჩამოართვა ტყვეთა გაყიდვის აკრძალვის შესახებ. ეს საფიცარი იმდენად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი, როგორც გურიისა, ისე სამეგრელოს შესახებ, რომ მისი ნაწყვეტი მკითხველს უნდა გავაცნოთ. სვიმონ გურიელი ამ თავის საფიცარში ამბობს: —

„აღთქმისა: დადება: გვიქადაგეთ: ჩვენცა: შევისწავეთ: და: ჩვენსა: საბატონოს: კაცსა: გაუსყიდველობისა: აღთქმისა: საფიცარი: გამოვართეთ: რომ: ჩემმა: საბატონოს: კაცმა: ტყუე: ველარ: გასყიდოს: და: ჩვენცა: ეს: აღთქმა: დაგუი: დღეს: ამას: იქეთ: ჩვენთვის: საქონლად: და: სასარგებლოდ: რომ: მოიხმარებოდეს: და: ან: სასმელ: საკმელშიდა: ჩვენ: ტყუე: აღარ: გავსყიდო:“...

ხოლო ოსმალების ხარკი ტყვეების სახით, რასაკვირველია, უნდა დარჩენილიყო. — ქვეყნის ეკონომიური ვითარება იქამდე განიაგებული იყო, რომ ადამიანების გაყიდვით სასმელ-საკმელს ყიდულობდნენ და სიყმილს ამით ებრძოდნენ. ამ ფაქტს თედოტე ელჩანინიცი ადასტურებს, რომელიც 1639 წელს ჩვენში იყო, და ამბობს: —

»ясирь продают и царь и власти и всякие помесные люди, кто гдѣ помещан, а продают все в босурманскую иѣру, а не продать им есыря. ии де им нужи иѣчим исполнить«...

ნიკიფორეც ამასვე ადასტურებს: —

»да не токмо де что владѣтель продает и отец детей и брат брата и муж жену и жена мужа продают и на товары прнезжим торговым людям меняют«...

ლაშბერტი და შარდენიცი, თავის მოგზაურობაში, ამ შემადრწუნებელ ვაჭრობას აგვიწერენ...

ცხადია, ამ ზომამდე განადგურებული ქვეყანა, რომელიც თავის შეილებს ხარკად აძლევდა ან შიმშილისაგან თავის დასახწვევად, ჰყიდდა, მარილზე - რკინაზე სცვლიდა, იძულებული იქნებოდა მოკავშირე მოეძებნა და ამ უბედურებისაგან თავი დაეხსნა. — და დამხსნელი არ იყო არც მაშინდელი ევროპა, ოსმალეთი რომ შიშის ზარსა სცემდა, არც ქართლ-კახეთი, რომელიც სპარსეთთან ხან ბრძოლას და ხან მის ბატონობას განიცდიდა. ქვეყნის მმართველებისათვის ერთად - ერთი იმედი იყო ქრისტიანული რუსეთი, თუმცა მაშინ ძალიან შორს მყოფი, ნაგრამ მათი რწმენით, როგორც ქრისტიანე, გულკეთილი და შემბრალებ თანამორწმუნეთა. — და იწყება დიპლომატიური მიმოსვლა და მიმოწერა, რომლის შედეგად ქართული სამეფოები და სამთავროები რუსეთს ერთგულებას უცხადებდნენ და მისგან დახმარებას მოელოდნენ.

იმერეთის დაშლამდე სამეგრელო ამ სამეფოში შედიოდა და დადიანს, სამეგრელოს მმართველს. იმერეთის მეფე ნიშნავდა ხოლმე. უკანასკნელ ხანაში დადიანად შემდეგი გვარები იყვნენ: ბედია, გოშუა, ლიპარტიანი, ქილაძე და ბოლოს, ჩიქოვანი. — დადიანები ხშირად მომძლავრებულან ხოლმე და იმერეთის მეფე არა ერთხელ დასუმარცხებიათ და კიდევ შეუპყრიათ. ეს იყო საერთო აღრევის ხანა, რომელიც გარეშე მტრისაგან შეიწროებას უფრო ამძიმებდა და ქვეყანას აპარტახებდა. — ჯერ კიდევ პეტრე დიდის დროს დადიანმა რუსეთს ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ აქედან პრაქტიკულად არაფერი გამოსულა, გარნა ოდეს რუსის ჯარი ტფილისში შემოვიდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ბედიც გადაწყდა, რუსეთი კავკასიის შუაგულში აღმოჩნდა. — გრიგოლ დადიანი 1802 წ. ოქტომბრის ხუთს, ტახტ-წართმეულ და უფლება-აყრილ ბატონიშვილს დაეთოს სწერდა: — როგორც თქვენ მოისურვებთ მიგეცათ თქვენი სახლი იმპერატორისათვის და მიეცით, აგრეთვე ჩვენ და ჩვენი სახლიც მიეცით მას თქვენი ხელით. ჩვენ სამის უფლებას ვაძლევთ. რისთვისაც მიიღეთ წინასწარი მადლობაო.

დღეს როცა ამ წერილს კითხულობთ, დაცინვად გეჩვენებათ იგი, ვინაიდან ბატონიშვილს დაეთოს ტახტი არავისათვის არ მიუცია და არც დადიანისას ჩააბარებდა იგი რუსეთს, არ ვიცით, რა უპასუხა ამაზე ბატონიშვილმა გრიგოლ დადიანს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ იგივე გრიგოლი იმავე წლის 20 დეკემბერს მთავარსარდალს, რუს ციციანოვს ულტიმატურად სწერდა: — თუ რუსეთი ჩემზე მფარველობას არ მიიღებს, მაშინ ოსმალეთის მფარველობაში შევალ! — დადიანს იმ დროს ის გარემოება მეტად აწუხებდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონს მასთან ტერიტორიალური დავა ჰქონდა. — ციციანოვი დადიანის წერილის შესახებ იმპერატორს მოახსენებდა და თან ეკითხებოდა: იქნებ იმპერატორმა ინებოს სამეგრელო ჯარით დაიკავოსო! მაგრამ იმ გართულებულ ვითარებაში, როდესაც ევროპას ნაპოლეონი შიშის ზარსა ჰგვირდა და კავკასიაში მდგომარეობა მეტად აწეწილი იყო, რუსეთის იმპერატორმა საჭიროდ არა სცნო სამეგრელოს იარაღით დაკავება, და ნება დართო ციციანოვს სამეგრელოს მთავარის ფიცი მიეღო. — 1803 წ. ივნისის 26-ს ციციანოვი გრიგოლ დადიანს ატყობინებს, რომ მისი თხოვნა შეწყყნარებულა: რომ რუსეთი თავის თავზე მის მფარველობას ღებულობს და რომ დადიანმა თავის მხრივ უნდა მიიღოს: 1) ფიცი ერთგულებისა, 2) გამოკვებოს 1500 რუსის ჯარისკაცი, 3) რომელიც დაიცავს სამეგრელოს საზღვრებს და 4) შინაური მმართველობა სამეგრელოსი დამოუკიდებელი იქნებაო. — ამავე დროს ამუშავდა რუსული დიპლომატია სტამბოლში და რუსეთის ელჩი იტალინსკი თავის მთავრობას ატყობი-

ნებს, რომ ოსმალეთი წინააღმდეგი არ არის სამეგრელომ რუსეთის ქვე-
შევრდომობა მიიღოსო. — და 1803 წ. დეკემბრის 23-ს, სამეგრელოს
მთავარმა გრიგოლ დადიანმა პოლკოვნიკ მაინოვის წინაშე რუსეთისადმი
ერთგულების ფიცა დასდო. თავის საფიცარ ქალაქში გრიგოლ დადი-
ანი ამბობს: —

„ფიცი და აღთქმასაუკუნო. შევსწირავ თავსა ჩემსა ყოვლად-უმოწ-
ყალესსა მონარხსა სრულიად როსიისა და სხვათა, ამიერიდგან ჩემსა
უძლიერესსა ხელმწიფესსა აწ და საუკუნოდ მე და ძენი ჩემნი და ჩემ-
თანა შეკრულნი ძმანი ჩემნი, ესე ვითართა სარწმუნოებისა და შჯუ-
ლისა ქრისტიანობითათა სქესითა“...

ამგვარად: სამეგრელოც რუსეთის ორბიტაში შევიდა და რუსული
ორიენტაცია, ამდენი ხნის ნანატრი, სინამდვილედ იქცა.

გრიგოლ დადიანის შემდეგ მთავრობდა ლევან დადიანი და 1842
წლიდან დავითი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე. — 1853 წ. დავით დადი-
ანი გარდაიცვალა და მემკვიდრის მცირეწლოვანებისა გამო, რუსეთის
იმპერატორმა დავითის მუღლზე, ეკატერინე, სამეგრელოს მმართველად
დანიშნა. ეს არის ის ხანა, როდესაც ყირიმის ომი ასტყდა და რომელსაც
ბ-ნი ნ .უ. თავის წერილში შეეხბო...

როგორ აღმოცდა ეს ომი? — რუსეთის მუღმივი მისწრაფება იყო
და არის დარდანელის ხელში ჩადება და ჰაჯია სოფიოზე ნამგალა
მთვარის მაგივრად ჯვარის აღმართვა. იმპერატორი ნიკოლოზ პირველი
ამბობდა: — „ჩვენს ხელთ არის სწეული ადამიანი, მეტად სწეული კაცი“
და ინგლისს ურჩევდა: „ჩვენ უნდა შევთანხმდეთ მისი დამარხვის შე-
სახებ“-ო. მაშინდელი ევროპა სრულიადაც არ იყო განწყობილი ოსმა-
ლეთი დაემარხა, რუსეთი გაემდიდრებია, — და როდესაც რუსეთმა ოს-
მალეთს ქრისტიანების დაცვის საბაბით ომი გამოუცხადა, — ოსმალე-
თის მხარეზე დადგენ: ინგლისი, საფრანგეთი, სარდინიის მეფე, ხოლო
პრუსიამ და ავსტრიამ ნეიტრალიტეტი დაიცვეს. — 1854 წ. მარტში
ომი დაიწყო და მისი მთავარი ასპარეზი ყირიმი (კრიმი) გახდა, სადაც
რუსებმა დიდი დამარცხება განიცადეს და მოკავშირეთა მიერ სევასტო-
პოლის აღების შემდეგ (1855 წ. სექტ. 8) ომიც დასრულდა პარიზის
ზავით, რომლის შედეგად ოსმალეთმა აღსთქვა ქრისტიან მოქალაქეთა
დაცვა, შეიქმნა ვალახიასა და მოლდავიის სამთავროები (მერმე რუმე-
ნიეთის სამეფო), შავი ზღვა გამოცხადდა ნეიტრალად და სხ. — მაგრამ
ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს, თუ რა ხდებოდა კავკასიაში და
კერძოდ სამეგრელოში.

ომარ ფაშას მეთაურობით ოსმალური ჯარი მსწრაფლ შემოიჭრა სამეგრელოში; ეგრედ წოდებული გურული რაზმი, ბაგრატიონ-მუხრანის ხელმძღვანელობით, დამარცხდა და უკან იხევდა; მეგრელების რაზმებმა ბრძოლა არ აწარმოეს და გაიფანტენ; ამის გამო მაშინ დიდი ალიაქოთი ასტყდა — მეგრელებს რუსეთის ლალატსა სწამებდენ, და დღემდე არ ვიცით დანამდვილებით, რამდენადაა ეს მართალი. — რუსული ჯარი სამეგრელოს ფრონტს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რადგან შტაბის სამართლიანი შეხედულებით, დასაპყრობი იყო ყარსის ციხე, რომლის აღების შემდეგ, რუსები ჩვენში მყოფ ოსმალების ზურგში აღმოჩნდებოდენ; და მართლაც ომარ ფაშა იძულებული გახდა უკან დაეხია და ზღვის პირას მისულიყო. ოღონდ ამ ხანის განმავლობაში დიდ-მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. —

სამეგრელოს მმართველმა ეკატერინემ ზუგდიდი დასტოვა და მის ძვირფას და განთქმულ სასახლეში ოსმალური შტაბი დაბანაკდა; ეკატერინე გაიხიზნა ჯერ გორდს, შემდეგ ცაგერს და მერმე ქუთაისს. და აი, 1855 წლის 31 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თარიღით ბატონიშვილი ეკატერინე ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალ ომერ-ფაშასაგან შემდეგი შინაარსის წერილს დებულობს: —

„შემოვალ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენის შვილის სახელით თქვენი უგანათლებულებსობა მართავს, ჩემს მოვალეობად ვრაცხ გაუწყოთ განზრახვანი ჩემის უავგუსტოესის მბრძანებელის სულთანისა და დიდთა სახელმწიფოთა, მისთა მოკავშირეთა. — „აწინდელი ომი, როგორც თქვენს უგანათლებულებსობას მოეხსენება დაწყებულია იმ სამართლიანის განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გავუწოთ და ბოლო მოვულოთ რუსეთის იმპერატორის სურვილს სხვა და სხვა ქვეყნების დაპყრობისას. და აი სწორედ ამ აზრით გახლავართ აქ; თანა მყავს იმდენი ჯარი, რომელიც, შეწვენითა დვთისათა, და იმის წყალობით, რომ საქმე, რომლისთვისაც ვიბრძვით, წმინდაა, სრულიად საკმაო იქნება განგდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულებსობა მეფობს; მაგრამ, შემოველ სამეგრელოში თუ არა, მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი უგანათლებულებსობა, რომ ჩემს უავგუსტოეს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხნენ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რაიმე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში. — „ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი იყვნენ და რომ თავიანთი საკუთარნი მთავრობანი თავისუფლად ვმართავენ“... — შემდეგ წერილი ეკატერინეს სთხოვს: დაბრუნდით ზუგდიდს და განაგრძეთ მართვა-გამგეობაო. მაგრამ დიდოფალს ამ წერილზე პასუხი არ გაუცია. — შემდეგ წერილში 9 (21) ნო-

ემბერს 1855 წ. ომერ-ფაშა კვლავ არწმუნებს ეკატერინეს, რომ ოსმალეთს და მის მოკავშირეთ სურთ — „სამეგრელო და მისი სამეზობლო პროვინციები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ და თავიანთი საკუთარი მართვა-გამგეობა ჰქონდეთ“-ო. — ამავე დროს ინგლისის აგენტი ოსმალეთის შტაბთან, ფ. ლონგოურტი სთხოვდა დედოფალს ზუგდიდს დაბრუნებულიყო და საფრანგეთის აგენტი გრაფი მეფრე კი პოლიტიკურადაც არდგენს საკითხს და სწერს ეკატერინეს: — „ევროპამ ახლა თვალეები გაახილა; მეტი მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივი სიბნელითა და სიღარიბით შეწუხებულნი, გაათავისუფლოს; ევროპას სურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულ ხალხს; რომ იმ განძითა და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისათვის მოუმაღლებია, თქვენვე სარგებლობდეთ. — „ასე და ამგვარად, ჩვენა გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი უგანათლებულებსობა კი ყოყმანობს! ნება გვიბოძეთ, ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი უგანათლებულებსობა ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა“ და სხ. (6 (25) ნოემბ, 1855 წ.)

მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაეარდა დედოფალი ეკატერინე დადიანი, და რჩევისათვის მეფისნაცვალის თანამდებობის აღმასრულებელ, თავის მეგობარს, ბებუთოვს მიმართა. ცხადია, როგორ რჩევას მისცემდა იგი! —

ყოველ შემთხვევაში, ოსმალებს კავკასიაში პრწყინვალე გამარჯვებანი არ უგეშიათ, და ომარ ფაშის მდგომარეობა სტრატეგიულად მეტად შესუსტდა, ისე რომ იგი იძულებული შეიქმნა მაშინ, როცა ქუთაისიდან 25 ვერსის მანძილზე იდგა, უკან დაეხია, წასულიყო და ზღვის პირას ყულევას და ქვალონს შუა გამაგრებულიყო. ხდებოდა მხოლოდ მცირე შეტაკება.

სამეგრელოს დედოფალს არც ომერ-ფაშასათვის და არც ინგლისელ-ფრანგისათვის პასუხი არ გაუცია. ეს, რასაკვირველია, რუსეთის ორიენტაციაზე დარჩენას უდრიდა. მაგრამ თავისთავად საგარეო პირობები მართლაც ხელსაყრელი იყო, ვინაიდან, როგორც ფერხად-ფაშას წერილიდან სჩანს, — „რუსის ხელმწიფე თერგისა და ყუბანს იქით უნდა იქმნას გაგდებული; ასე გადაწყდა საბოლოოდ დიდთა სახელმწიფოთა რჩევაზე“-ო. — ხოლო ეკატერინე დედოფალი იმდენად იყო მინდობილი რუსეთზე, ისე მაგრად იდგა რუსეთის მხარეზე, რომ ასეთი სახიფათო ნაბიჯის გადადგმა მისთვის მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო. და მას არც კავური გააჩნდა, რომელმაც სარდინიის პაწაწინა სამეფო ყირიმის ომში ჩაირია და იტალიის გაერთიანებას მყარე ნიადაგი მოუშხადა

აქ „ფეოდალური პოლიტიკა“ როლს არ თამაშობდა. რა შუაშია ეს, ნ. ჟ.-ს მიერ აჩემებული პოლიტიკა, როდესაც საკითხი ომში ჩარევის ენებოდა და ორიენტაციის გამოცვლას შეიცავდა! თეორიულად შეიძლება ლაპარაკი: — რამდენად შესაძლებელი იყო ეკატერინე რუსეთს გადასდგომოდა, გრიგოლ დადიანის მიერ მიღებული ფიცი გავრცეხა, ოსმალეთს მიმხრობოდა და სამეგრელოს დამოუკიდებლობა მიინც ალედგინა! — კავკასიაში რუსები იარაღით ბატონები იყვნენ და ამას გარდა სამეგრელოსათვის დიპლომატიის გზის დაკეტვა რუსეთისათვის არც ისე ძნელი იყო. მაგალითებიც ამას გვეუბნება: — იმის მიუხედავად რომ აფხაზეთის მთავარი ოსმალეთს მიემხრო, მას ამის გამო არა მოუგია რა, სამთავრო კი დაჰკარგა! და ჩერქეზეთის ბედი ხომ ცნობილია: მთელი ევროპის აზრი იცავდა ჩერქეზეთს, მაგრამ რუსეთმა ოსმალების მიმხრობისათვის ძირიან-ბუღიანად აჰყარა იგი და გაანადგურა! ამიტომ ვფიქრობთ, რომ რომ ეკატერინეს პოლიტიკა ამ ომში რეალი და მიზან-შეწონილი იყო თუმცა რუსეთმა მას ეს არ დაუმახსოვრა და ორგულად მოექცა. — ტყუილად კი არ ეუბნებოდა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს: — „იცი, რა არის რუსი? — ტილია. ფეხზე რომ დაისვამ, უაჰველად აგაცოცდება: შენ კი ელაქუცები და სციდილობ აამო ხოლმე ამ ტილს“... ამ „მაამებელის“ შეუღლებ, ეკატერინემაც „აამა“ ამ ტილს და „ეკატერინე თვითონ მეგრელთა მილიციას გაუძღვა და მოწაწილეობა მიიღო რამდენსამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ, ნაბადი ჰქონდა მოსხმული. თავი ყაბალახით წაკრული, თან ახლდა თავისი პირადი ამაღა შინაყმებისა, ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშევრდა გულს და მისი ზუზუნი ხშირად ესმოდა“... — ქალისა და დედოფალის ასეთმა გმირობამ რუსული მაღალი წრეები ალტაცებაში მოიყვანა, დედოფალი იმპერატორის სასახლეში მიიწვიეს, ზვიმით შეხვდნენ, მაგრამ რუსულ მთავრობას ასეთი მოპყრობა ხელს არ უშლიდა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საქმე მოეკვარახჭინებია!

ჯერ კიდევ ადრე, კავკასიის ნამესტნიკმა ვორონცოვმა მთავარს დავითს მოსთხოვა ნებაყოფლობით ხელი აეღო მთავრობაზე და თავისი უფლება რუსეთისათვის გადაეცა; ამაში ვორონცოვი დიდ სასყიდელს დაჰპირდა. მაგრამ მთავარმა ისეთი პირობა წარუდგინა, რომელიც რუსეთისათვის არავითარ შემთხვევაში მისაღები არ იყო! დადიანმა მოითხოვა 300.000 თუმანი პენსია!!! რასაკვირველია, დადიანს რომ თავის უფლებაზე უარის თქმა ნდომოდა და სამეგრელოს სამთავროს გაუქმების სურვილი ჰქონდა, ასეთ უზარმაზარ საფასურს არ მოითხოვდა! ოღონდ ამის საპასუხოდ დადიანი უკანასკნელად გააფრთხილეს: შენს დაუკითხავად გაუქმებულ იქნება შენი სამთავრო! და ამ მუქარის ასა-

სრულელად ხელსაყრელი ვითარებაც შეიქმნა. — პეტერბურგში ეკატერინეს ყოფნის დროს სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა დაიწყო და ვინაიდან დედოფალმა დაბრუნების შემდეგ მას თავი ვერ გაართვა, ქუთაისის გუბერნატორს დახმარება სთხოვა. უკანასკნელმა, კოლუბიაკინმა აჯანყებას ლიკვიდაცია მოუხდინა, და სამეგრელოს სამთავროს არსებობის საკითხიც წამოიჭრა! — კავკასიის მთავარ-მართებელს ბარიათინსკის ამ საკითხის შესახებ ორი მოხსენება მიართვეს: 1) ქუთაისის გუბერნატორის კოლუბიაკინის, 2) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გავარინის. კოლუბიაკინი საჭიროდ სცნობდა სამეგრელოში რუსული ადმინისტრაციის შემოღებას, — გავარინი კი იმ აზრისა იყო, რომ მმართველობა ისევ შინაურ ძალებსა ჰქონოდათ, ხოლო მათ მიმატებოდა რამოდენიმე პირი ტფილისიდან. საკითხის გამოსარკვევად ბარიათინსკიმ მთავარმართებლობის საბჭოს წევრი დუკრუა დანიშნა, რომლის კომისია იმ აზრს დაადგა, რომ სამეგრელოში რუსული წესები უნდა შემოღებულიყო. — ასეთი ნაბიჯის გადადგმა, ცხადია, დედოფალისათვის მიუღებელი იქნებოდა; ამიტომ ბარიათინსკის თანხმობით, გადაწყდა დედოფალთან მოლაპარაკების გამართვა, იმ მიზნით, რომ დედოფალი დაეჯერებიათ: — ეთხოვა იმპერატორისათვის სამეგრელოს მმართველსაგან განთავისუფლება და რუსული მართველობის შენობა!

დედოფალს დიდი ეშმაკობა დასჭირდა, რომ ასეთი მოლაპარაკება თავიდან ასცდნოდა, — და მართლაც ისე მოახერხა, რომ ამ მიზნით ტფილისიდან ჩამოსული მოხელე უკან ისე გაისტუმრა, რომ ამ საგანზე დალაპარაკებაც კი ვერ გაბედა! საქმეს შემდეგ შეუდგა თვით დუკრუა, მაგრამ დედოფალმა მას პასუხი არ აღიარა, დაადგა ნაცად ტაქტიკას! დედოფალს ეგონა, ეს ამბავი ტფილისში იყო მოწყობილი და იმედოვნებდა, რომ იმპერატორი, რომელიც მას ასეთი ზეიმით შეხვდა, ამის ნებას არ დართავდა! მაგრამ ბარიათინსკი სამეგრელოს სამთავროს გაუქმებას შეუდგა, ამიტომ მან დუკრუას მიანდო სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვის შტატის შედგენა და კოლუბიაკინს მიენიჭა სამეგრელოს მმართველის თანამდებობა! რუსის მოხელეებმა ზუგდიდში ჩამოიტანეს დაბეჭდილი ორი სხვა და სხვა განცხადება სამეგრელოში რუსული მართვა-გამგეობის შემოღების შესახებ, ვითომდა მთავრის მცირეწლოვანობის განმავლობაში! — თუ დედოფალი დასთანხმდებოდა და მთავრობაზე უარს იტყოდა, მაშინ გამოაკრავდენ შემდეგ პროკლამაციას: — ვინაიდან დედოფალი სამეგრელოდან გადის, შემოღებულ იქნება რუსული მმართველობა; და თუ დედოფალი მაინც უარზე დადგებოდა, მაშინ გამოაკრავდენ მეორე განცხადებას, სადაც რუსეთი პირდაპირ ამბობდა, რომ სამეგრელოში შემოღებულია რუსული მმართველობა და კოლუბიაკინი მმართველად დანიშნულიაო, ხოლო დედოფალი სრულ-

ლიად არ იქნებოდა მოხსენებული! ცხადია. დედოფალი ვერ დაითანხმეს და რუსეთმა სამეგრელო ხელისდადებით შეირთა!

დედოფალი კი სჩიოდა: — „მე სამეგრელოდან გამოყვანენ, მამულებს ჩამომართმევენ, მე და ჩემს შვილებს რაღაც საცოდავ პენსიას ვაღწომიგდებენ სამადლოდ და იმასვე მიზამენ, რასაც უშვებოდენ საქართველოს ბატონიშვილებს და დედოფლებს, ხოლო სამეგრელოს დადიანის მაგიერ სათავეში ჩაუდგება ვიღაც სოლდათის შვილი კოლუბიაკინი. მაგრამ მე ამას არ მოვითმენ და ისე ვიზამ, ყველაფერი იმპერატორისა და იმპერატრიცას ყურებამდე მივიდეს; ისინი ნებას არავის მისცემენ დასჩაგრონ საცოდავი ქვრივი და მისი მცირეწლოვანი შვილები“.

გულუბრყვილო იყო დედოფალის ასეთი იმედი, მისი ბედი უკვე პეტერბურგში იყო გადაწყვეტილი... და სამეგრელო დაიყო სამ ოლქად: ხუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის; და კოლუბიაკინი სამეგრელოს უფროსი შეიქმნა! — დედოფალი სოფ. გორდში დარჩა თავის ერთგულ პირებთან ერთად, უფლება-აყრილი და საქმეებს ჩამოშორებული! რა ძალა შესწევდა მას წინააღმდეგობა გაეწია? — არავითარი და ალბად ამაზე არც ფიქრობდა და ელოდა, რომ ხელმწიფე იმპერატორი ადგილობრივი მოხელეთა თავხედობისაგან დაიცავდა! ტყუილი იყო, რასაკვირველია, ეს ოცნება! — დუკრუას შემდეგ, დედოფალთან გაგარინი მოვიდა და ურჩია ბარიათინსკის რჩევას დაჰყოლოდა და ამასთანავე მისი მამულების გამგედ დავშების მზრუნველად პოლკოვნიკი თავადი იავორა აბაშიძე დაუსახელა. — დედოფალმა კვლავ უარი სტკიცა და აბაშიძე, რომლის მამა იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ქონება-ჩამორთმეულ და გადასახლებულ იქმნა, მკვახედ უთხრა: — „რუსის მთავრობისაგან გაძარცვულმა, როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა უჩემოდ და მზრუნველობა როგორ ითხოვე“?!

რუსებმა, რასაკვირველია, მეგრელებს იარაღი აჰყარეს, მაგრამ სოფ. ზანაში აჯანყება მაინც მოხდა და სისხლი დაიღვარა!...

ცოტა ხანის შემდეგ დედოფალის სახელზე პეტერბურგიდან უმაღლესი რესკრიპტი მოვიდა, რომლითაც იმპერატორი დედოფალს სასახლეში იბარებდა! გაწვევის საბაბად აღნიშნული იყო იმპერატორის სურვილი: ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი სამეგრელოს მთავარი! —

ეკატერინემ წამსვე დაიწყო მზადება გასამგზავრებლად, მაგრამ ამ დროს ქუთაისში დატრიალდა დიდი ამბავი: სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, როცა მას განუცხადეს გადასახლების ამბავი და დროებით შინ დაბრუნების ნება არ მისცეს, სისიკვდილოდ დასჭრა გუბერნატორი გაგარინი, მოჰკლა ორი კაცი და დაჰკოდა ოთხი... დედოფალი ეკატერინე ამბობდა: — ვენაცვალე დადიშქელიანს! ის-ღა გამოგვექომაგა მე და ჩემს შვილებს... ახლა მაინც გაიგებენ, რომ მთავრე-

ბი არც ასე ადვილი ხელწამოსაკრავები არიან, როგორცა ჰგონიათ...
 — და დედოფალი შვილებითურთ პეტერბურგს გაემგზავრა 1857 წ.

დედოფალის მამულების მზრუნველობა ცნობილ დიმიტრი ყიფიანს ჩაბარდა და მანაც მოინდომა მთავრის მამულში სამთავრო ადმინისტრაციის შეექმნა; ამის გარშემო დიდი ბრძოლა გაიმართა. პეტერბურგის კავკასიის საბჭომ დართო კიდევ ნება, მაგრამ ბარიათინსკიმ პროტესტი განაცხადა და იმპერატორმა საბჭოს დადგენილება შეაცვლევია, დ. ყიფიანი დაითხოვეს, ხოლო დედოფალს წლიურად ათიათასი მან. დაენიშნა და მალეც სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას მიეწერა.

ასე მოისპო ფაქტიურად სამეგრელოს სამთავრო და რალა გასაკვირველია, — როდესაც მცირეწლოვანი „მემკვიდრე“ სრულწლოვანი შეიქმნა, მან უიშველო ბრძოლასა და მშრალზე დარჩენას ამჯობინა ფორმალური უფლებისათვის ფინანსიური განაღდება მაინც მიეცა ...

ასეთი არის სამეგრელოს პოლიტიკური ისტორია, — და სამწუხაროა, რომ ეს დრამატიული სავგადასავალი ბ-ნ ნ. ე.-მ „ფეოდალური პოლიტიკის“ ამბავად გამოაცხადა...

ბ-ნ ნ. ე.-ს მარქსის წერილებიდან ამონაწერი მოაქვს იმ გეგმის შესახებ, რომელიც მაშინ, ყირიმის ომის დროს, წარმოდგენილ იქნა. მარქსი სტრატეგი არ იყო; მის მიერ მოწონებული გეგმა, რომ ოსმალეთი საქართველოს ოკუპაციას მოუხდენდა და რუსეთს, რომელიც მარქსს მეტისმეტად სძულდა, კავკასიონის ქედს იქით გადაადგებდა -- განუხორციელებელი შეიქმნა, — სინამდვილეში მოხდა მხოლოდ ის, რომ რუსეთმა კავკასიაში ოსმალეთს კბილები ჩაამტვრია. არც ინგლისის მინისტრის მოსაზრებაა თავისთავად გამართლებული; მისი შეხედულება, რომ მტრის ტერიტორიაზე ჯარის ექსპედიცია ხაფანგიაო, — მართალია, მაგრამ მტრად აქ რუსეთია, რომელსაც კავკასია ხელში მაგრად უჭირავს! ის ფაქტი, რომ „ქართველი თავადაზნაურობა იბრძვის რუსეთის გვერდით“ (და ბ-ნი ნ. ე. ამას ბრალდებად ხმარობს), ბევრს არაფერს ამბობს — ან უნდა ასე ებრძოლა, ან აჯანყება მოეწყო! თუ იყო ეს შესაძლებელი? ჩვენ ვფიქრობთ, არა! ამის დიდი სურვილიც რომ ყოფილიყო, განხორციელება მაინც შეუძლებელი იყო. ეს აჯანყება პოლონეთმაც კი ვერ გაბედა, იმ პოლონეთმა, რომელიც იმ დროს ჩვენზე უფრო გამწარებულ ბროლას ეწეოდა და ყირიმის ომის შემდეგ რამოდენიმე წელიწადში (1863 წ.) აჯანყების ვეებერთელა კოცონიც კი დაანთო! — საერთოდ, აჯანყება ომის დროს მეტად სახიფათო და საშიშია ეროვნული ბრძოლის თვალსაზრისით...

მთელ ამ ისტორიას ბ-ნი ნ. ე. მეტად მსუბუქად განმარტავს. ის მოვლენა, რომ დედოფალმა ეკატერინემ ომში რუსეთის მოწინააღმდეგე



მონაწილეობა არ მიიღო, ოსმალეთის მხარეზე არ დადგა, და, ცხადია, ვერც პარიზის საზავო კონფერენციაზე დაესწრო, — ბ-ნ ნ. ჟ.-ს მიერ ახსნილია იოლად: — „და ეს იმიტომ, რომ ის უყურებდა თავის ქვეყანას არა სახელმწიფოს, არამედ ფეოდალური თვალსაზრისით. ქვეყანა ეკუთვნოდა მას კერძო საკუთრების საფუძველზე, რომელსაც მართავს, გაყიდის თუ გააქირავებს თანახმად თავისი ოჯახური ინტერესებისა. ამით აიხსნება ისიც, რომ როგორც კი სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ნიკოლოზი გახდა სრულწლოვანი, მან რუსეთის მთავრობას მიყიდა ფულზე ყველა თავისი უფლებები და თვითონ გადადგა. სამეგრელო პოლიტიკური ერთეულიდან უცებ გადაიქცა ადმინისტრაციულ ერთეულად“... — მაღლობა ღმერთს! ქართულ ისტორიას მარტო ბ-ნი ნ. ჟ. არა სწერს, თორემ რა იქნებოდა!? — ჩვენ დავინახეთ, რომ სამეგრელოს ისტორიამ მეტად რთული საფეხურები გაიარა — და თუ სამეგრელომ ვერ შეესლო თავისი შინაური დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია, — ამაში დამნაშავეა რუსეთი, მხოლოდ რუსეთი! და არა დადიანი, რომლის უფლებები რუსეთმა ფაქტიურად უკვე დედოფალის დროს მოსპო! და ლაპარაკი რაღაც „ფეოდალურ პოლიტიკაზე“, „ოჯახური ინტერესების“ პოლიტიკაზე — მხოლოდ ისტორიის დამახინჯებაა. ასეთი მისი საქციელი გასაკვირველი არ არის (ხოლო სამწუხაროა, რომ ასეთი ერის „ბელადი“ ისტორიამ გვარგუნა!), — გასაკვირველი არ არის, ვინაიდან ბ-ნი ნ. ჟ. ამ ხერხით, ქართული ისტორიის გაყალბებით, სულ სხვა მიზანს ისახავს, ვინემ არის სიმართლე! იმიტომ იგი ერთხელ აღებულ გზას განაგრძობს, თავის თავს არ დალატობს და სწერს: —

„თავის თავათ ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკის მიმდევარნი ვერ გამოვიდოდნენ ვერც ერთ დიდ ისტორიულ გართულებაში საქართველოს უფლების დამცველებად და მისი სახელით მოლაპარაკეთ. ყველაფერს სწყვეტს რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორი, ბაგრატიდების მემკვიდრე და მას უნდა ემორჩილებოდეს ერი — ეს აზროვნება ხდება ოფიციალურ დოკტრინათ და მასზე შენდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. ქართველ თავადაზნაურობის მიერ გამართული დღესასწაული რუსეთთან შეერთების ასი წლის თავზე, 1901 წ., და მის მიერ ოთხი სტიპენდიის დაარსება იმ რუსის პოლკებისათვის, რომელნიც მირველათ ჩვენში შემოვდნენ და დაგვიპყრეს — იყო ლოლიკური დასკვნა ერთხელ აღებული პოლიტიკური ხაზის!...“

აი ბ-ნ ნ. ჟ.-ს ქართული ისტორია! აი როგორ სადგება ქართველი ერის შავბედითი თავგადასავალი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ წერილში

ვიკ. ნოზაძე

ძველი ლიტერატურის ახალი კრიტიკა

მკითხველს ძარღვებში თივა უნდა გეყაროს და მკერდით გამხმარ გულის ფულუროს უნდა ატარებდე, რომ არ იგრძნო ჩვენი წარსულის დამცირება და შეურაცყოფა, როცა თვალს ადევნებ ძველი ლიტერატურის ახალ კრიტიკას.

რუსეთში შექმნილი ახალი ძალა კიდევ ერთხელ დაემუქრა საქართველოს ოც-საუკუნიან ეროვნულ კულტურას. არ იკმარა მისი მეობის შელახვა და გაუგონარი შურისძიებით შეიჭრა მის სულიერ შემოქმედებაში; კლასთა ბრძოლის ძალადობით მიუღდა არა მარტო სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ ერის სულიერ საუნჯეს, როგორცაა ხელოვნება. არ ახსოვს მსოფლიო ლიტერატურას, რომ ხელისუფლებას განსაკუთრებულ, წინდაწინ დაგეგმილ კანონებში ჩაემწყვდია და ჩაეჭექვა შემოქმედების ფართო და ვრცელი ასპარეზი. მართალია, არსებობდა და არსებობს სხვა და სხვა სკოლის ლიტერატურული მიმართულება. მაგრამ ეს წმინდა ხელოვნების პირინციპებზე იყო და იქნება აგებული. რა შუაშია აქ „ბურჟუაზია“, „პროლეტარიატი“, „კლასთა ბრძოლა“ და სხვა. ეს ყველაფერი საბჭოთა კრიტიკის „საგანძურს“ წარმოადგენს, რომელიც უხვად ამახინჯებს ხელოვნების წმინდა სახეობას.

ლიტერატურამ განვლო საკუთარი განვითარების საფეხურები და ის მუდამ ძიების პროცესშია; ის ეძიებს ახალ გზებს. ახალი ფორმის ტენიკით უღდება ხელოვნების მწვერვალებზე გადასვლას; აქ მისთვის შინაარსი მეორე ხარისხიანი მნიშვნელობისაა. დღეს ფორმის ყურადღებითაა ხელოვანის გონება შეპყრობილი; აი რა გასხლავთ დღევანდელი შემოქმედების სულიერი ქარიშხალი.

ამ ძიების მანძილზე წარმოიშვა სხვა და სხვა ლიტერატურული დაჯგუფება. სიმბოლიზმი, ფუტურზმი, დადიზმი, კუბიზმი და სხვა, მაგრამ არსებობს ისეთი მხარე, სადაც ხელოვნება უბრალო გამოსაყენებელ იარაღათაა ცნობილი: — სად არის მუსიკა, სად არის მხატვრობა, ან ძლიერი შინაარსი?

აქ ყველაფერი ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილება. ხელო-



ვნება უბრალო მსახური შეიქმნა პარტ-ყრილობების დადგენილებებისა, მშრალი პოლიტიკური სიტყვებით გალექსილი პოეზია მდარე და უნიჭო პუბლიცისტის პოლიტიკურ წერილს უფრო წააგავს, ვიდრე ხელოვნების რაიმე ნიმუშს. მაგალითისათვის: —

„ჩვენ დავაფუძნეთ კოლექტივი
 მსოფლიო მთელი —
 ერთ უძლიერეს კოლექტივად
 უნდა შევიქნათ
 რამდენიც დღეა, გვყავდა და გვყავს
 იმდენი მტერი,
 მაგრამ ჩვენ ვიბრძვით თავდადებით
 გარეთ და შიგნით!“

(გ. ტ. „მნათობი“)

კომინტერნის კონგრესების მოწოდებებიდან ამოღებული დავალების შესრულება ვახდა რუსეთის და კერძოდ ქართული პოეზიის ყოველდღიური საკვები მასალა, ის ხან მსოფლიო ბურჟუაზიის ებრძვის, ხან კონტრრევოლუციონერებს ასამართლებს და ხან კიდევ არ არსებულ კულაკებს ერეკება; ამ უმეგალითო მეაგლითს ბრძანებებით ამტკიცებს და ადასტურებს დღეს თავისი უხეშობით ცნობილი საბჭოთა რუსეთი უფრო მეტ სიმახინჯეს წააწყდებით, როცა თვალს აადევნებთ დღევანდელ ქართულ პუბლიცისტურ წერილებს და გამოცემებს. ცალმხრივი მიდგომით, სოციალისტურ ნაქუჭიდან — კლასთა ბრძოლის მიზეზით ქართული ლიტერატურის განხილვას დაერქვა — ძველი ლიტერატურის ახალი კრიტიკა. როგორც ნიმუში დღევანდლობისა გაკვრით განვიხილოთ ა. ჟუონიას წიგნი — „ნიკოლოზ ბარათაშვილი, პოეტი და მოქალაქე“.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ სკოლებში. — ხსენებული წიგნი იხსნება ცნობილი სათაურით: — კლასი და თაობა. — ამ ნაწილში ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულია კომუნისტური პრობაგანდა; სიტყვათა კორიანტელით დამდგარი სალაყბო ან და უკეთ რომ ვსთქვათ, დაკვეთის გადაჭარბებით შესრულებაა. უინტერესობის გამო ამ გაყოფილებას განზე ვსტოვებთ და გადავიღივართ მეორე თავზე: — ბედი ქართლისა. —

აი როგორ იწყება ეს ნაწილი: — „მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე და მას შემდეგაც ქართული ნაციონალისტური ინტელიგენცია თავს იმტერევდა საქართველოს პოლიტიკურად დაცემის საკითხზე, მისი დავის საგანი სხვათა შორის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატიც იყო“.

მეტად გაკვირვებულია ბ-ნი ავტორი, რომ ქართული მოწინავე ინტელიგენცია მსჯელობის საკითხად ხდის საქართველოს დაცემის მიზე-

ზებს და მისი აზრით ხსენებული ინტელიგენცია საქართველოს დამარცხებას „სხვათა შორის“ სარჩულად უდებს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევას.

ვინც კარგად ჩაკვირებია მე-19 საუკუნის ქართულ ყოფას, ქართულ ეროვნულ სინამდვილეს, მის სულიერ და გონებრივ მოძრაობას, ვისაც ქემშარიტების საზომით განუხილავს ამ ახალი საუკუნის საფუძველი, — დასკვნა ერთია: — ქართული ინტელიგენცია არა „სხვათა შორის“, არამედ მოწყურებული ეძიებდა საქართველოს დაცემის მიზეზებს, ვინც უდიდესი შეურაცყოფა მიაყენა ქართულ ეროვნულ სამეფოს, ვინც ერთ ხელ მიღებული ისტორიული სიგელი უსიტყვოდ თავზე გადაახია და 1783 წ. ხელშეკრულება 1795 წლის ალა-მაჰმად-ხანის ქართველ ხალხზე დაუნდობელი შურისძიებით დაასრულა. ის, რაც მთელი ამ საუკუნის სიგრძეზე დავის და რყევის საკითხს შეადგენდა, ეს იყო მათი უახლოესი მწარე სინამდვილის განხილვა, რომელსაც საქართველო ახალ ეროვნულ ყოფაში უნდა დაეყენებია. მთიულეთის აჯანყება 1804 წ., კახეთის 1812 წ. და 1832 წ. ქართველ მემბოხეთა შეთქმულება — ეს გახლდათ საკუთარი სრულის შეწირვით უდიდესი პროტესტი ახალ დამპყრობელ ძალის წინააღმდეგ მიმართული, რომლის მოქმედებით სისხლის ღამებში გამოემწყვდა ბედი ქართლისა. მთელი ამ 30 წლის მანძილზე შეუჩერებელი ბრძოლების დამარცხებამ შეიმუშავა ის ძლიერი ეროვნული გოდების პოეზია, რომელიც პოლიტიკური რომანტიზმის სახელით არის ცნობილი.

პატ. ავტორი „სხვათა შორის“ აყენებს ამ საკითხს, საკითხს, რომელიც საფუძვლად დაედო მთელი მე-19 საუკუნის სულიერ შემოქმედებას. აქ იგი არა მარტო ბოლშევიკური ბრძანებების მსახურია, არამედ ძველ რუსეთსაც გვერდში უდგას თავისი უცნაური კალმით. ის არ ინდობს არავითარ ისტორიულ სინამდვილეს, ძველ ფაქტებს ახალ მარქსისტულ კალაპოტში აყენებს და განაგრძობს: — „მიუხედავად იმისა, რომ 1804, 1812 და 1832 წლების ამბები რუსეთის ტახტის წინააღმდეგ იყო მიმართული, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს იყო რეაქციონური მოძრაობა, ეს იყო ცდა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის აღდგენის, მისი ქალწულებრივი უმანკოებით“ და სხვა. მისი აზრით ან და უკეთ რომ ვსთქვათ, უზენაესის დეალებით მახინჯდება სინამდვილე, რომელიც ზორცს ასხამს და აჯანმრთელებს ჩვენი ისტორიის ეროვნულ ჩონჩხს. სხვანაირად არ შეიძლებაოდა მოქცეულიყო ხსენებული ავტორი, რადგან ბოლშევიკური ზომა არ ინდობს არავითარ სინამდვილეს, როგორც დღევანდელობაში, ისე შორეულ წარსულში. — რა შეაშია აქ ფეოდალიზმი, რად დასჭირდა აქ სოციალურ საკითხებზე ლაპარაკი? — სახელმწიფო განადგურებული, ერი დამონებული, ენა შეურაცყოფილი, მაშინ როდეს-

საც ისევ ელვარებს საყვარელი მეფის სახელი, ხალხს გულით დააქვს მისი ლეგენდარული ბრძოლების მოგონება და აჯანყებას აჯანყებაზე ამზადებენ. მის მღელვარებას წინ მიუძღვის შემდეგი სიტყვები: —

მცხეთას დგას ოქროს კუბოი
 შიგ ნათობს კელაპტარია
 შიგა წევს მეფე ერეკლე
 ბაგრატიონთა გვარია,
 გმირს დაუხუჟავს თვალები
 მაგრამ არ არის მკვდარია,
 შვილებს გაღუგდო ბეგთარი
 ფხა სისხლიანი ხმალია...

და სწორედ ეს შვილები გახლდათ, რომლებმაც მამები კრწანისის ველზე გაუნადგურეს და იმავე სისხლიანი ხმალით განაგრძობენ ბრძოლას ახალი მტრის წინააღმდეგ.

გაქირვების დროს ერმა არ იცის წოდებრივი უთანასწორობა, თუ მისი სხეული ჯანმთელია. ადამიანი და საზოგადოება ნაყოფია იმ დროისა, რომელშიაც ის ცხოვრობს, განისაზღვრება იმ მოვლენებით, რომელიც მისი არსებობის მანძილზე განიცადა, და ამ პირობებით უნდა გაირჩეს და დაფასდეს ჩვენი უახლოესი საუკუნეც. რა დასკვნები უნდა გამოიტანოს იმ კრიტიკოსმა, რომელიც დღევანდელი პარტიის პროგრამის მუხლებით უდგება წარსული საუკუნის ისტორიის და ლიტერატურის გასინჯვასა და დაფასებას. რა შედეგი უნდა მოგვცეს მკვლევარმა, რომელიც დიდ ეროვნულ სულიერ გარდატეხებს მარქსიზმის გამოფუყულ სტრიქონებიდან ზომავს და კომინტერნის დავალების ჭარბად შესრულებისათვის არ ერიდება არავითარ აზრის სიყალბეს? ასეთი აზრს ბ-ნ ჭყონიას ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ის ეხება ბარათაშვილის დროის საზოგადოებრივ და „კლასობრივ“ ურთიერთობას, ასეთი ყალბი დასკვნებით საინტერესოა, როგორ შეაფასებს ჩვენი პოეტის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას??

მაგრამ ამ საკითხზე შემდეგ.

გ. ყიფიანი

მცირე მოგონება

(სეიფოლა იოსელიანი საქართველოში)

ერთ დღეს შემთხვევით წავაწყდი განცხადებას: — სეიფოლა იოსელიანი მიემგზავრება ბათუმს მოხსენების გასაკეთებლად, სპარსეთს, ფერეიდანში გადასახლებულ ქართველების შესახებ. ასეთი მოხსენება მას ტფილისში გაუკეთებია და ეხლა ბათუმში უნდოდა ხელახლა წაეკითხა იგი. რადგან ტფილისს ავსციდი ამ უაღრესად საინტერესო ამბავს დროს, ამიტომ ეხლა სასწრაფოდ გავეჭანე ბათუმისაკენ, რომ საკუთარი თვლით მენახა საუკუნოებით გადაკარგული თანამემამულე და ვამეგო მისი გულის თქმა და კირ-ვარამი.

ჩავედი ბათუმს. დანიშნული მოხსენება გაიმართა. დარბაზში ტევა არ იყო. მაუზერებით შეკედილი კომუნისტებიც ბლომად იყვნენ, რომლებიც სეიფოლას თითოეულ სიტყვაზე თავს დაბლა ჰხრიდნენ და ცხვირსახოცს ეძებდნენ.... მთელი დარბაზი რალაც უცნაური გრძნობებით დაიტვირთა. ჰაერი აღარ გვყოფნიდა... ცრემლები გვახრჩობდა...

მოხსენების დაწყებისას საზოგადოებას მიმართა ზ. კიკინაძემ. მან მოკლედ გააცნო საზოგადოებას ფერეიდანელი ქართველების ამბავი. — თუ შახ-აბაზმა როგორ აპყარა ქართველები და სპარსეთს გადასახლა (შე 17 სუკ.). — შემდეგ იწყებს სეიფოლა; ბოდიშით, რომ მან კარგად არ იცის ქართული და სთხოვს საზოგადოებას, ეს ნაკლი აპატიოს...

მთელი დარბაზი გარინდულია. ხმას არავინ იღებს, სეიფოლა სდუმს, გულს იმაგრებს, რომ აღეღებებს სძლიოს. ბოლოს მსმენელებს პირისპირ



უსწორდება. მისი შავი თვალები ცრემლებით იესება...

პირველი სიტყვა: —

„ჩემი სისხლი ქორთული, ენა არა ქორთული“!...

ხმა დარბაზიდან: —

„შენი სისხლი ჩვენსას სჯობია“! — „ენა შენი მარგალიტა“! ...

— „ჩონში იქ ფერეიდანში, ორი სპარსელი ქართველი რომ ერთად არის, ერთი მეორეს ექითხება: — საქორთულო საით არის? — ერთი იტყვის: — მზე რომ ამოდის იქეთ. — მეორე: — მზე რომ ჩადის იქეთ! აღარ იციან, სად არის საქორთულო! ჩვენ შორსა ვართ თეჰერანიდან. რამდენიმე კვირის სავალზე. ჩონთან ახლო ფარსელები არ არიან. ჩონ მათ ქალს არ ვაძლევთ. არც იქედან მოგვყავთ. ჩონი ქალები კარგი მზარეულები სარიან... ოჯახი უყვართ... ნამცხვრებზე ჩონი ქალები დანით ჯვარის სახეს აკეთებენ... საქორთულოში ეგრე ვიცოდიო! ჩონ შევინახეთ ჩონი დროშები, წიგნები, როცა სპარსელებმა ტყვეთ წაგვასხეს... ის ჩონთვის ძვირფასი სასოება არის... გზაში ბევრი ჩჩვილი და ბევრი ორსული ქალი დაგველუბა — ეს ჩონში ლექსად არის და ჩონგურზე გალობენ....

ეს მოხსენება კი არ იყო, არამედ რაღაც უცნაური დრამა... გახდა რაღაც უძვირფასესი და საოცარის...

სეიფოლა ითხოვდა ქართველ სპეცებს ფერეიდანში წასაყვანად: ექიმებს, ფარმაცევტებს, მასწავლებლებს, ან და მიგვეცა საშუალება დასაწლებულიყვენ საქართველოში. აი მისი სიტყვები: —

მოგვეციო თქვენთვის გამოუსადეგარი მიწა, ჩონ მას დავამუშავებთ, ღალას გადავიხდით. ჩონ იქ სიმდიდრე გვაქვს, ჩონს საქონელს ჩონვე ჩამოვიტანთ, ამისთვის არავის შეგაწუხებთ...

საბჭოთა ხელისუფლებამ ს. იოსელიანს უარი საჯაროდ ვერ უთხრა, მაგრამ დაპირებითაც არაფერს დაპირდა და გაკეთებითაც არაფერი გააკეთა...

მაგრამ მე მჯერა: — თუ „ჩონი“ ქვეყანა ერთხელ წელში გაიმართა, იგი პირველ ყოვლისა იზრუნებს, რომ უხეში ძალით სამშობლოდან მოწყვეტულ წინაპართა შთამომავლობა სამშობლოს წიადს კვლავ დაუბრუნოს.

ტ. აბხაზავა

დამატება: — კახეთის გაელეტისა და აოხრების ამბავს ბატონიშვილი ვახუშტი ასე მკვეთრად აგვიწერს: —

„ხოლო შაბაზ მოვიდა კახეთს და მუნიდან ტფილისს... ეზრახა ლექ-
თა: „რამეთუ მნებავ მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვე
კერძთა მათთა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე-ყვენით ივინი და აღგავ-
სე მეცა ნიკითა“: მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქვეს: მაშინ შაპ-ბაზ
წარმოაგლინა ტფილისიდან სპანი დიდნი ხერკსა და ერწო-თიანეთსა
ზედა. ხოლო თვით ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყვევნა, აყაპრნა და
მოაოხრნა, განძარცვა ეკლესიანი, ხატნი და ჯუარნი შემუსრნა და სამ-
კაულნი მათნი ჰყო ხარჭათა თვისთა აღსამკობელად. გარნა ვეთინიმე
მორჩნენ ფშავს, ხევსურეთს, თუშეთს და სიმარგეთა, კლდეთა, ტყეთა
და მათთა შინა. არამედ ლექთაცა უყვეს ეგრეთ, ვითარცა აღუთქვეს
შაპ-ბაზს:

შემდგომად დაუტევა ფეიქარ-ხან სპითა კახეთს და თვით წარვიდა
და წარიყვანა კახნი ტყვედ და დასხნა რომელნიმე მაზანდარს, ხვარა-
სანს და ფერის“ — და ეს მოხდა 1616 წ.

რედაქცია.

ქართული ხელნაწერები

მჭ. თაყაიშვილი: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართუ-
ლი ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი,
პარიზი, 1933 წ.

პატივცემული პროფესორი ბ-ნი ექ. თაყაიშვილი განაგრძობს თა-
ვის ფრიად დიდ მნიშვნელოვან სამეცნიერო მუშაობას და მისი უკანასკ-
ნელი შრომა შეიცავს პარიზის ბიბლიოთეკაში არსებულ ქართული ხელ-
ნაწერების აღწუსხვას. ამ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ და
დღესაც აქვთ და ამიტომ მათი დაწერილებითი აღწერა მეტად დასაფასე-
ბელია. — პარიზის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა რამოდენიმე იშ-
ვიათი ხელნაწერი, რომელთაც, როგორც ბრძანებს ბ-ნი თაყაიშვილი,
ცალი არა აქვთ, ან ცოტა მოგვეპოვება ცნობილ წიგნთსაცავებში.

ამ ხელნაწერების ზეგავლენითა და საშუალებით თავის დროზე მ.
ბროსემ მიჰყო ხელი ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის შეს-
წავლას და მათ შესახებ ბროსეს ბევრი რამ დაუწერია: იგივე ხელნაწე-

რები აღუწერია ბ. აღ. ხახანაშვილს ორჯერ, მოკლედ „ივერიაში“ და ვრცლად „მოამბეში“. ვინაიდან აღრინდელ აღწერებში ბევრი შეცდომა შეპარულა, მათ გამოსასწორებლად იცემა დასახელებული ნაშრომიო, ბრძანებს ბ. თაყაიშვილი. უდიდესი მნიშვნელობა პარიზის ხელნაწერებისა იმაშიც მდგომარეობს, რომ მათი საშუალებით ჩვენ ვღებულობთ გასაღებს ოცი ქართული კრიპტოგრაფისა ანუ საიდუმლო დაწერილობისას. ეს უკანასკნელი გარემოებანი ძველი მეცნიერების მიერ, სამწუხაროდ, შეუღმწეველი დარჩენილა. ქართული დიპლომატიისათვის და ხელისუფალთა ურთიერთ შორის მიწერმოწერისათვის განსაკუთრებული საიდუმლო დამწერლობა ყოფილა, და მათ შორის, დღეს ცნობილია: ანჩინური, ანჯანური, ანპოეური და ანრეური. გარდა ამ ოცი კრიპტოგრაფისა ამავე ბიბლიოთეკაში არსებობენ შემდეგი ხელნაწერები: კრებული სხვა და სხვა სასულიერო, საკალენდრო, საასტრონომიო, ხირომანტიის და სხ. საგალობელნი ქართული ნოტებით, რომელთაც უწინ საიდუმლო ნაწერად მიიჩნევდენ, კატეხიზმონი, ქართული გრამატიკები, „ომანიანი“, ვეფხის ტყაოსანი. აღსანიშნავია ამ უკანასკნელის ხელნაწერი, შესრულებული შემახელ სომხის ქალის მიერ; რამდენად უნდა ყოფილიყო ძალა და გავლენა ვეფხის ტყაოსანისა, რომ 1619 წელს (ბ-ნი თაყაიშვილის აზრით 1702 წ.) ვინმე შემახელი სომეხი ქალი ამ დიდ დაწერას ასრულებდა, და კარგი ქართულის უცოდინარად მას ახერხებდა, აღბად რაოდენი სიყვარულით! იოანე სარდალის შვილს უნახავს ეს ვეფხის ტყაოსანი და ზედ წაუწერია: „მინდა. მეყიდა. და. აღარ. ვიყიდე.“

აქაურ ხელნაწერთა შორის არის აგრეთვე ბარამიანი ლექსად, აღზირა ანუ ამერიკელნი, ტრალედია, დრმატიკა დაეით ბატონიშვილისა, ლოლიკა ანტონ კათალიკოზისა, ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა. ქართული ქრონიკა, ვახტანგის კანონები, სამდივნო წიგნი და სხვა. აღსანიშნავია წერილი იმერეთის მეფესა სოლომონ პრველისა რომის პაპა პიო მეექვსესადმი, დაწერილი 1779 წ. 25 აგვისტოს, რომელშიაც იგი სხვათა შორის სწერს: —

„ამას: მოვასხენებთ: მათს: უწმიდესობას: ჩვენ: და: ჩენი: ქვეყანა: ყოველთვის: ბრძოლით: ურჯულოთაგან: შეიწროებულა: რათა: მოხედოთ:“—ო ამას შემდეგ მეფე პაპს სთხოვს, კეთილინებოს და წარმოუგზავნოს მას მკურნალი და „ერთი: საათიც: კარგი: გვიბოძეთ:“—ო.

ბ-ნ თაყაიშვილის ეს ნაშრომი უსათუოდ დიდათ საყურადღებოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ყველ ქართველისათვის. ვინც ქართული წარსულით დაინტერესებულა. წიგნს თან დართული აქვს ხელნაწერების სურათები და გამოცემულია კარგად.

დ. მარჯანიშვილი

მონაბი

სარჩმვი:

გვერდი

1. მათაური — ერთა ლიგა და ჩვენი საკითხი	3
2. შ. შალაკელიძე — პაქტის შესახებ	5
3. ი მანწკავა — საქართველოს საკითხი	8
4. ვიკ. ნოზაძე — საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ	12
5. გ. ყიფიანი — ძველი ლიტერატურის ახალი კრიტიკა	23
6. ტ. აბხაზავა — მცირე მოგონება (სეიფოლა იოსელიანი)	27
7. დ. მარჯანიშვილი — ქართული ხელნაწერები	29

მისამართი:

M^r AKAKI CHAVGOULIDZE

50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.

იბეუღება და მოკლე ხანში გამოვა

გიორგი შიფიანის

პირველი წიგნი

გადახიზნული სტრიქონები

m-1345